მოგილოცავთ დღესასწაულს, ძვირფასო თანამოკალმეო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 101 (13495) | ხუთშაბათი, 5 მაისი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

5 მაისი ბეჭდვითი სიტყვის დღეა!

ვ. ი. ლენინი კითხულობს „პრავდას“.

მხატვარი პ. ვასილიევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის ბასრი იარაღი

დღეს, 5 მაისს მთელი ჩვენი ქვეყანა სიამოვნებით აღნიშნავს ბოლშევიკური სიტყვის მაზნებარე თავკაცის — „პრავდის“ დაბადების კიდევ ერთ წელს, მთელი ჩვენი ხალხთა ერსის ღირსშესანიშნავ დღესასწაულს.

ჩვენს მშობლიურ პარტიას ყოველთვის ეიმედება და მიაჩნია, რომ ბეჭდვითი სიტყვა — მილიონთა ეს შესანიშნავი ტრიბუნა, ყველაზე ძლიერი, ბასრი იდეური იარაღია.

იყო ამ საბრძოლო იარაღის ჯარისკაცი, ძასთანავე ცეცხლოვანი, გულშიჩამწვდომი სიტყვა მიგვიყვანდეს ამ ტრიბუნიდან ხალხში, ეს მეტად საპატიო, კეთილშობილური, სახალისო და ამავე დროს ნელი მოვალეობაა.

და ჩვენი პრესის, მისი მრავალრიცხოვანი არმიის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ მოვალეობას ბევრი გაზეთი და ჟურნალი, მათი კოლექტივები ცუდად როდი ახრულებენ.

საბჭოთა პრესის სიძლიერე მკითხველთან კავშირია. მკითხველის მხარდაჭერა და მისი სიყვარულია. აბა რა ფასი იქნებოდა მარტო ჩვენს სიტყვას, რომ მას ვერავინ არ უმზერდეს და ხშირად ოფით გზასაც არ უნათებდეს ჩვენი მკითხველის ალალი რჩევა, მისი ძარღვიანი და გულმართალი სტრიქონი.

თვალის შუქი, გონების ნაზრდო, რჩეული და მეგობარი — აი როგორ ფასობს და როგორ უყურებს ჩვენს პრესას, ნაბეჭდ სიტყვას მკითხველი.

წელს ჩვენს ქვეყანაში პრესის დღე ლენინგრადი განსაკუთრებულ ვითარებაში. ჯერ ერთი თვეც არ გასულა, რაც მოსკოვში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობამ. ჩვენი ლენინური პარტიის ეს ყრილობა უმნიშვნელოვანესი ოვლენა არა მარტო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, არამედ მთელ საერთაშორისო მოლიტიკურ ცხოვრებაში.

ჩვენი პარტიის ყრილობის ახალი მნიშვნელობა აიხსნება საბჭოთა საზოგადოებრივი ცხოვრების ნაბიჯებით. ეს ყრილობა ეხმიანებოდა ეროვნული ეკონომიკური, იდეური, მორალური ზრდა. ეს ეხმიანებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ორგანიზაციული პოლიტიკური, იდეური, მორალური ზრდა. ეს ეხმიანებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობამ. ჩვენი ლენინური პარტიის ეს ყრილობა უმნიშვნელოვანესი ოვლენაა არა მარტო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, არამედ მთელ საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ჩვენი პარტიის ყრილობის ახალი მნიშვნელობა აიხსნება საბჭოთა საზოგადოებრივი ცხოვრების ნაბიჯებით. ეს ეხმიანებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ორგანიზაციული ბრძოლის გაუმჯობესებას, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პრობლემებისა და კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის შემოქმედებითად განხილვას უნდა მიეცეს ძირითადი ყურადღება. მთელი რიგ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ აკლიათ კვალიფიციურ პრომაგანდისტთა კადრები, განსაკუთრებით მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში, პოლიტიკურ ეკონომიაში, სკკპ ისტორიასა და მეცნიერულ კომუნიზმში. შემდგომ გაუმჯობესებას მოითხოვს პრომაგანდისტთა მეთოდური მომზადება. სიძნელეებია სასწავლო, მეთოდური და ოვალსაჩინო სახელმძღვანელობის მხრივ. ყველა ეს საკითხი უნდა გადაიჭრას.

ახლა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ორგანიზებულად დავამთავროთ სასწავლო წელი, განვამტკიცოთ მიღწეული წარმატებები და დავსახოთ პარტიული განათლების შემდგომი სრულყოფის გზები. ამისათვის საჭიროა მოვაწყოთ ასე იყო ყოველთვის, საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე. მაგრამ ახლა ჩვენი პრესის შესაძლებლობანი ხომ განუზომლად გაიზარდა.

ახლა მთელი ჩვენი პრესისათვის, თვითეული ჩვენი ჟურნალისა და გაზეთისათვის, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს უფრო დიდი და პასუხსაგები, საპატიო ხაქმე, ვიდრე ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა, ახალი ხუთწლიანი გეგმის ამოცანათა პროპაგანდაა.

ბეჭდვითი სიტყვის თვითეული ორგანოს ვალია მიმზიდველად, გასაგები და ცოცხალი ენით მიიტანოს ქალაქისა და სოფლის მილიონობით მშრომელებთან ყრილობის ისტორიული დოკუმენტების ყოველი სტრიქონი, ღრმად დაარწმუნოს ისინი პარტიის დიადი მიზნის სიცხადეში.

ჩვენი რესპუბლიკის გაზეთებმა და ჟურნალებმა, რადიომ და ტელევიზიამ ამ დიდი და პასუხსაგები თემის გაშუქებისას უკვე გამოიჩინეს ნამდვილი პოლიტიკური ხემწიფე და საქმის სიყვარული. მათ თითქმის ყოველდღიური ტრიბუნა დაუთმეს ყრილობის დელეგატთა საუბრებს, წერილებს, სტატიებს. ისინი მკითხველებს უზიარებენ ყრილობაზე მიღებულ შთაბეჭდილებებს, თავიანთ აზრებს, მომავალი მუშაობის გეგმებს. „ყრილობის დელეგატის ტრიბუნა“, „ყრილობის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში“, „პარტიის გეგმები გვიხმობენ, მოგვიწოდებენ“ — აი რა ახალი რუბრიკები გაჩნდა გაზეთების ფურცლებზე.

ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. წინ დიდი და საინტერესო საშუშაო მოგველის, რომელიც სავსე იქნება ახალი შემოქმედებითი ნკვთით და ძიებით. ყოველდღიურად უნდა ვაღრმავებდეთ გამოსაქვეყნებელი მასალების შინაარსს, ვიყენებდეთ უანრობრივ მრავალფეროვნებას, ვეძიებდეთ და ვპოვებდეთ საგაზეთო მუშაობის ახალ ფორმებს.

შრომის ადამიანის ჩვენება, როგორც ახალი საზოგადოების შეგნებული და დარწმუნებული მშენებლისა,— ყოველთვის იყო და რჩება პრესის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად. პარტია გვიჩვენებს, გვაძლევს ადამიანთა შრომითი დამსახურებისადმი ყურადღებიანი, მზრუნველობითი დამოკიდებულების საუკეთო მაგალითს, როცა საუკეთესოებს აჯილდოებს და დიდებით მოსავს.

ახალი ხუთწლედის პირველ წელს მთელი ფრონტით უნდა გავაჩაღოთ მუშაობა პირველ რიგში სწორედ ამ ადამიანთა მუყაითი, ბეჯითი შრომის, გულმოდგინების, მისი შესანიშნავი ხამოწყებების და თოოსნობათა ჩვენებისა და ხხარდაჭერისათვის. ჩვენს პრესას, რადიოსა და ტელევიზიას უთუოდ დიდი შესაძლებლობანი აქვთ, რათა დამსახურებულად აღნიშნონ მაგ ღირსეული საქმე და ღვაწლი, ქვეყანას ამცნონ, აჩვენონ ამ ახალი ხუთწლედის ახალი, ნამდვილი გმირი.

ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების გაშუქებისათვის უნდა მოვიზიდოთ საუკეთესო ჟურნალისტური ძალები, მწერლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, ავტორთა ყველაზე ფართო აქტივი, გამოვიყენოთ ყველა საგაზეთო ჟანრი, რათა მივაღწიოთ იმას, რომ ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენისადმი მიძღვნილი მასალები თავისი შინაარსით და მიწოდების ფორმით იქცევდნენ მკითხველთა ჟურადღებას, ზეწოლმედებას ახდენდნენ არა მარტო გონებაზე, არამედ მის გრძნობებზედაც.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის გაშუქებისას ჩვენ ზოგჯერ ვერ ვიყენებთ მკაფიო, მეტყველ ფერებს. ღარიბია ჩვენი შემოქმედებითი პალიტრა. დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ ზოგჯერ გაზეთებში რუბრიკით — „ყრილობის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში“ ქვეყნდება მარტო მშრალი ინფორმაციები სამრეწველო და სასოფლო თემებზე. გაზეთები, ჟურნალები, რადიო და ტელევიზია უნდა გამოდიოდნენ ისეთი მასალებით, რომლებიც ჟურადღებას მიიქცევენ არა მარტო ზომით, არამედ შინაარსითა და იდეურ-პოლიტიკური ეღერადობით.

თუ, რასაკვირველია, ავამაღლებთ მომთხოვნელობას, გადაკრით გავდევნით გაზეთების გვერდებიდან უფერულობას, ლაქლაქს, ე. წ. „ყუალს“, და კარგი ოტატებივით გავაშალაშინებთ თვითეულ წერილს, დავბეჭდავთ თვითეულ სტრიქონს. მაშინ გაზეთში მოიძებნება ადგილი ყველა თემისა და ყველა ჟანრისათვის. მოიძებნება ადგილი ღრმაშინაარსიანი პრობაგანდისტული სტატიისათვისაც, ეკონომიური მიმოხილვისთვისაც, მშრომელთა წერილებისთვისაც. კარგი ნარკვევისა თუ მოთხრობისთვისაც, ფელეტონისა თუ მეგობრული შარეისთვისაც, ფოტოსა და ნახატისთვისაც.

პარტია ხალხს ელაპარაკება სიმართლის ენით, არავერს არ უშალავს და არ ალამაზებს, უჩვენებს ჩვენი განვითარების რეალურ მიღწევებსაც და ხიძნელეებსაც.

მხოლოდ სიმართლის ენას შეუძლია მიაღწიოს მკითხველის გულსა და გონებას, მხოლოდ სიმართლის ენას შეუძლია ცხოვრებისადმი აქტიური დამოკიდებულება აღუძრას მკითხველს. უამისოდ კი, ცხადია, პრაქტიკული და ქვეყნისათვის ხაბერო საქმიანობის ნაცვლად, უნაყოფო ბაკიბუქი გამოგვივა, როგორც ამას ახლო წარსულში, ჭეშმარიტად სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ ოქტომბრის პლენუმამდე არცთუ იშვიათად ჭქონდა ადგილი.

პარტიის ყრილობის დღეებში ხაქართველოს მშრომელები ახალი ხასიხარულო ამბის მოწმენი გახდნენ. ჩვენი რესპუბლიკის ხახალხო მეურნეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის 11 ათასზე მეტი მუშაკი. იმათ კი, რომელმბაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი. სოციალისტური შრომის გმირის ზოდება მიენიჭათ.

ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულთა შორის არიან ჩვენი მეგობრები, ჩვენი თანამოკალმენი — ქართველი ჟურნალისტები, გამომცემლობათა და პოლიგრაფიულ საწარმოთა წარჩინებული ადამიანები. ჩვენი რადიოსა და ტელევიზიის მოწინავე მუშაკები.

ეს ჯილდო, ჩვენი მოღვაწეობის დიდ, ხაპატიო შეფასებას რომ წარმოადგენს, ჩვენგან მოითხოვს ახალ ენერგიას, ახალ შემართებას, ძალღონის მოკრებას, მთელი ჩვენი ნიჭისა და უნარის გამოჩენას, კალმის მეტ ფხიანობას და სიტყვის მეტ ხმიანობას.

ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის ტრიბუნიდან ხაქვეყნოდ გვისმა: „პარტიას ბყავს პროპაგანდისტთა, აგიტატორთა, ჟურნალისტთა, ტელევიზიის კინოს, რადიოს, თეატრის მუშაკთა შესანიშნავი კადრები. ჭეშმარიტად. ეს პარტიის ოქროს ფონდია, რომელსაც უნდა გავუფრთხილდეთ. მზრუნველად მოვუაროთ და სწორად გამოვიყენოთ“.

ეს მაღალი შეფასება ჟურნალისტებს უფრო მაღალ მოვალეობას აკისრებს. და თუ ჩვენ ამ ოქროს ფონდიდან ვართ. მაშ მოდით. პირველ რიგში ჩვენ თვითონ გავუფრთხილდეთ ამ სახელს, საბჭოთა პრესის მუშაკის სახელს. ამ სახელის ყველაზე დიდი გაფრთხილება კი ის იქნება, რომ ბოლშევიკური მართალი სიტყვით ვწერთო ჩვენს დღეებზე, ამ დღეების რომანტიკაზე, ამ დღეების უბადლო გმირებზე, რომლებიც თავიანთი ვაჟკაცური შრომით ხორცს ასხამენ პარტიის დიად ჩანაფიქრს, ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

გარდამავალი წითელი დროშები — გამარჯვებულთ

საპირველმაისო დღესასწაულის დღეებში საქართველოს კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროების მთელი რიგი საწარმოების კოლექტივებმა მოსკოვიდან მიიღეს ცნობა იმის შესახებ, რომ მათ გაიმარჯვეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს კოლეგიისა და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშით, აგრეთვე პირველი ფეღალდა პრემიები მიენიჭათ თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკისა და ავკალის ვ. ი. ლენინის სახელობის მინის ქარხნის კოლექტივებს.

სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშით, აგრეთვე პირველი ფეღალდა პრემიები მიენიჭა თბილისის რძის კომბინატის კოლექტივი.

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსა და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფეღალდა პრემია მიენიჭათ ქუთაისის საკონსერვო ქარხნის, თბილისის № 2 თამბაქოს ფაბრიკის, ბორჯომის ჩამოსასხმელი ქარხნის, თბილისის № 4 ღვინის ქარხნის კოლექტივებს.

სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსა და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფეღალდა პრემია მიიღო რუსთავის ხორცის კომბინატის კოლექტივმა. (საქდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ საარჩევნო კომისიაში

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებისთვის მზადების დღეებში თბილისის მრომის სასახლე გახდა ცენტრი, თავმეჯდომარეობა, სადაც თავს იყრის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებული მთელი მასალები. აქ მოდიან საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები, რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის წევრები, რათა ერთხელ კიდევ შეამოწმონ, დაუსტონ ამ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური კამპანიისათვის მზადებასთან დაკავშირებული საკითხები.

4 მაისს გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სს რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა. იგი გახსნა რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ შ. კიკნაძემ.

სხდომაზე მოწსენება გააკეთა რუსთავის № 182 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ნ. ბერალიძემ. რუსთავის საქალაქო და გარდაბნის რაიონში გაზეთებში დროზე გამოქვეყნდა საარჩევნო ოლქების საზღვრები, მოიწყო საუბნო საარჩევნო კომისიების წარმომადგენელთა თათბირები. საოლქო საარჩევნო კომისიამ შეიმოწმა ამომრჩეველთა სიების შედგენის სისწორე, ახლა ამ სიებს აზუსტებენ და ამ დღეებში გამოაკრავენ საარჩევნო უბნებში.

რუსთავის № 182 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის მუშაობა გააცნო სხდომას რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის წევრმა ნ. ხაფიანოვმა. მან აღნიშნა საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობის მთელი რიგი ნაკლოვანებანი. გარდაბნის რაიონის ზოგიერთ სოფელში ჯერ კიდევ არ ყრის გაფორმებული საარჩევნო უბნები.

81 საარჩევნო უბანი შეიქმნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის № 185 საქალაქო საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე, თქვა სხდომაზე ამ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ნ. ხვარწყიამ. საუბნო საარჩევნო კომისიათა თავმჯდომარეებსა და მდივნებს გააცნეს მათი უფლება-მოვალეობანი, განიმარტეს საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ ცნობების წარდგენის წესები და გადები.

ოლქის ყველა საარჩევნო უბანში შექმნილია აგიტპუნქტები, სადაც არის საარჩევნო ლიტერატურა, წარმოებს მუშაობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებისა და სკკპ XXIII ყრილობის მასალების განმარტებისათვის.

სხდომამ მოისმინა რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის წევრის საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივნის ო. ლოლაშვილის ინფორმაცია ქალაქ თბილისში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ. ქალაქში შექმნილია 367 საარჩევნო უბანი. დღითიდღე ფართოვდება წინასაარჩევნო საგაგიტაციო მუშაობა. 83 მუდმივმოქმედი აგიტპუნქტის გარდა წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდისათვის დამატებით შეიქმნა 284 აგიტპუნქტი, მუშაობს 20 ათასამდე აგიტატორი.

ო. ლოლაშვილმა აღნიშნა, რომ მშრომელთა წინასაარჩევნო კრებებმა ორგანიზებულად, დიდი ალმავლობით ჩაიარა. დეპუტატობის კანდიდატებად დასასახელეს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები, მოწინავე მუშები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

სხდომაზე ცხინვალის № 191 საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ნ. გასიევმა.

რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის წევრმა ს. ხაბეიშვილმა სხდომას მოახსენა, თუ როგორ ემზადებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ბორის № 173 საარჩევნო ოლქში.

საქართველოს სსრ კავშირგამგეობის მინისტრმა კ. ქაფთარაძემ სხდომას აცნობა, რომ დღეისათვის 2.351 საარჩევნო უბანი უზრუნველყოფილია კავშირგაბმულობით, 1.905 — რადიოფიცირებულია. უახლოეს ხანში მიღებული იქნება ზომები ყველა საარჩევნო ოლქის კავშირგაბმულობით უზრუნველყოფისათვის.

არჩევნები ზაფხულში მოეწყობა. სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ კერძოებმა და მშრომელთა მასობრივი დასვენების ადგილებში სწორად უნდა იყოს ორგანიზებული საარჩევნო უბნების მუშაობა. ამ საკითხზე ყურადღება გამახვილა რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ შ. კიკნაძემ. უნდა ვიზრუნოთ ამომრჩეველებისათვის, რომლებიც არჩევნების დღეს გზაში, ტურისტულ ლაშქრობებში იქნებიან. საქმე ისე უნდა წარმართოთო, რომ საბჭოთა კავშირის თვითეულმა მოქალაქემ, სადაც უნდა იმყოფებოდეს 12 ივნისს, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში.

სხდომაზე განხილულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

განხილულ საკითხებზე მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებანი. (საქდესი).

მოსკოვში გაიხსნა რუმინეთის ეკონომიკის გამოფენა

მოსკოვში, „სოიუზეკონიკის“ კულტურისა და დასვენების პარკში, 4 მაისს საბჭოთა ვითარებაში გაიხსნა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიკის გამოფენა.

გამოფენის გახსნაზე მოვიდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ბ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. ტასტეროვი, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, ნ. ნ. შელეპინი, ბ. ნ. დემიჩევი, დ. ფ. ულტინოვი, ი. ვ. კაბანოვი, ფ. დ. კუზიკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები და სხვა ოფიციალური პირები.

გახსნას დაესწრო რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია მაგალითსამშენებელო მრეწველობის მინისტრის მიხაი მარინესკუს მეთაურობით, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ტეოდორ მარინესკუ, დიპლომატიური კორპუსის წევრები, რუმინეთის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომელნი, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

გამოფენის გახსნაზე მოკლე სიტყვა წარმოთქვა სრულიად საკავშირო საგარეო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. ვ. ნესტერეროვმა. შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნ. ს. პა

მილიონთა ჭრიბუნა

5 მაისი — ბეჭდვითი სიტყვის დღე!

ჩვენი მატიანე

ხუთწლედის დავალებათა უცილობლად შესრულების პატრიოტული გრძნობებით არის გაჟღენთილი ის წერილები, სარედაქციო ფოსტას რომ მოაქვს ამ დღეებში. რედაქციის განყოფილებებში ვარჩევთ მათ შორის უფრო საყურადღებოს, ინალიზს ვუკეთებთ მშრომელების, ცალკეული კოლექტივების აზრებს, ვცდილობთ მკითხველებს მივაწოდოთ რაც შეძლება დახვეწილი, თანამედროვეობის შესაფერისი კორესპონდენციები, პუბლიცისტური წერილები, რომლებშიც ასახული იქნება პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანები აგდილობრივი პირობების გათვალისწინებით.

ჩვენ, რედაქციის მუშაკებს, გვესმის, რომ ახალი ხუთწლიანი გეგმის შესრულება გამოხატავს არა მარტო ახალი ქარხნებისა და ფაბრიკების, ელექტროსადგურების, საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, არამედ საბჭოთა ადამიანის სულიერ ზრდას, მისი კულტურული ჰორიზონტის გაფართოებას, კომუნისტური შეგნებულობის ამაღლებას. ამიტომ ვამჯობინებთ განსაკუთრებით ყურადღებას ამაზე, რომ გაზეთის მასალების ღრმა ideურობით მივაღწიოთ მშრომელებში მორალური ფაქტორების გაფართოებას, რომ ყოველმა მუშაკმა გამოავლინოს ქეყნის ბატონ-პატრონის სრული გრძნობა, შეგნებულად და შემოქმედებითად მიუდგეს თავისი კოლექტივის ამოცანებს.

კომუნისტური მშენებლობის ახალი რთული ამოცანები, რომლებიც პარტიის XXIII ყრილობამ დასახა, განაპირობებენ პარტიის, როგორც საბჭოთა ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის უმაღლესი ფორმის როლის შემდგომ ამაღლებას. ამ დარგში სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ უკანასკნელი წლების პლენუმების გადაწყვეტილებათა შემდეგ ჩვენი გაზეთის ფურცლებს არ შორდება რუბრიკა „პარტიული ცხოვრება“: ღრმაშინაარსიანი წერილებით გამოდიან პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, საწარმოებისა და კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მშენებლობების პირველი პარტიული ორგანიზაციების მდივნები.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდას, ideოლოგიურ მუშაობას, მშრომელთა აღზრდას კომუნიზმის მაღალი ideალების სულისკვეთებით. ჩვენი გაზეთის მთავარი თემაც ამჟამად სწორედ ეს არის — ყრილობის გადაწყვეტილებათა თარგმნა. პროპაგანდა, რომ თვითეულ მშრომელს გავაცნოთ ყრილობის მასალები, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის დირექტივების არსი, მათი უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი შემდგომი წინსვლისათვის.

პერსპექტიულ გეგმაში, რომელიც რედაქციის ყველა განყოფილებამ შეიმუშავა, ჯეროვანი ადგილი აქვს დათმობილია ყრილობის მასალების შესწავლისა და პროპაგანდის საკითხებს. გათვალისწინებული გვაქვს, კერძოდ, თეორიული ხასიათის წერილებით რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკების გამოსვლა, ყრილობის გადაწყვეტილებების მთელ რიგ დებულებათა უფრო შინაარსიანად გაშუქებისათვის ფართოდ მოვიზიდავთ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების წევრებს, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ აფხაზეთის განყოფილების ლექტორებს.

მასებში მთელი ideეურ-პოლიტიკური მუშაობის ცენტრში პარტია აყენებს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების განვითარებას, საბჭოთა ადამიანებში შეგნებული დისციპლინისა და მომჭირნეობის შეგნების, საზოგადოებრივი ქონების გამოაკლებისათვის ბრძოლის ideალების აღზრდას. ასეთი მაღალი მორალური და მოქალაქეობრივი თვისებების ნიმუშებს უჩვენებენ წარმოების ნოვატორები, მოწინავეები. მათი მაგალითი მეტად კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს მშრომელ მასებზე. ვასწავლოთ ჯერ უმრავლესობას, ხოლო შემდეგ ყველა მშრომელს იმუშაონ ისე, როგორც დღეს მუშაობენ მოწინავენი — ეს ჩვენი პრესის კეთილშობილური ამოცანაა. ამ მხრივ ყურადღების ღირსია ჩვენს გაზეთში ყრილობისშემდგომ პერიოდში გამოქვეყნებული წერილები. მაღალშინაარსიანი წერილებით გამოვიდნენ, მაგალითად, პარტიის გუდაუთის რაიონული კომიტეტის მეორე მდივანი ვ. იოსავა, ქარხანა „სოხუმელსაწყოს“ პარტიული ორგანიზაციის მდივანი პ. პერტაია, გაგრის რაიონის კოლმეურნეობა „ხვიბნის“ პირველი ბრიგადის ხელმძღვანელი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი პ. სვანიძე, ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეოთხე შახტის მაღაროელები გ. ჩიხლაძე, გ. მარბელია, რ. გვაზავა, მ. ჭოლარია, № 6 შახტის უფროსი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ღვინჭილია, მეხუთე შახტის ბრიგადირი ვ. ჯიქარაული და მრავალი სხვა.

მშრომელთა კოლექტივები გულთბილად შეხვდნენ სკკპ XXIII ყრილობაზე თავიანთ წარგზავნილებს. გაზეთის მკითხველება კმაყოფილებით გაეცნენ ყრილობის დელეგატის, № 5 შახტის მოწინავე სამთოელის ი. შამბას ნაამბობს იმ გრანდიოზულ გეგმებზე, რაც ყრილობამ დასახა ჩვენი მუშათა კლასის მოწინავე რაზმის — ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა წინაშე.

იმისათვის, რომ გავაუმჯობესოთ ჩვენი გაზეთის შინაარსი, რედაქციის პერსპექტიულ გეგმაში ვითვალისწინებთ მუშაობაში ჩავაბათ ავტორთა რაც შეიძლება მეტი აქტივი, კიდევ უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ყველა საგაზეთო ჟანრი, რომ მასალები თავისი შინაარსითა და მიწოდების ფორმით იპყრობდნენ ყურადღებას, სათანადო ზემოქმედებას ახდენდნენ მკითხველთა აზრსა და გონებაზე.

აფხაზეთის სსრ მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლილი, საშეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ახალ-ახალი წარმატებებით აღნიშნონ ხუთწლედის ყოველი დღე. რესპუბლიკის მშრომელთა ამ შრომას მთავარი ადგილი დაეთმობა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

ხ. ახალაია,
აფხაზეთის საოლქო გაერთიანებული გაზეთების რედაქტორის მოადგილე.

ციფრების ენით

□ **1966 წელს სსრ კავშირში გამოდის 7.700 დასახელების გაზეთი, რომელთა ერთჯერადი ტირაჟი 100 მილიონი ეგზემპლარია.**

□ **საბჭოთა ხელისუფლების წლებში თავისი დამწერლობა მიიღო 50 ეროვნებამ. ამჟამად გაზეთები გამოდის სსრ კავშირის ხალხთა 58 ენაზე.**

□ **1921 წელს საქართველოში გამოვიდა 159 დასახელების წიგნები 4 მილიონზე მეტი ტირაჟით.**

□ **1966 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში გამოცემული იყო 2.256 დასახელების წიგნი 13 მილიონზე მეტი საერთო ტირაჟით.**

□ **ამჟამად საქართველოში გამოდის 96 დასახელების ჟურნალი 6.030 ათასი ტირაჟით. მათ შორის ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ წლიური ტირაჟია 157 ათასი ეგზემპლარი, ჟურნალ „დროშისა“ — 288 ათასი, ჟურნალ „საქართველოს ქალისა“ — 720 ათასი, ჟურნალ „პიონერისა“ — 451 ათასი, ხოლო ჟურნალი „დილა“ წლიურად 525 ათასი ეგზემპლარი იბეჭდება.**

□ **1921 წელს** საქართველოში გამოვიდა 44 დასახელების გაზეთი 7.538 ათასი ეგზემპლარი წლიური ტირაჟით.

□ **1966 წლის 1 იანვრისათვის რესპუბლიკაში გამოდიოდა 88 დასახელების გაზეთი 280.550 ათასი ეგზემპლარი წლიური ტირაჟით. აქედან:**

11 რესპუბლიკური გაზეთი 199.203 ათასი ეგზემპლარი წლიური ტირაჟით;

41 რაიონული გაზეთი 21.222 ათასი ეგზემპლარი წლიური ტირაჟით;

8 საქალაქო გაზეთი 37.880 ათასი ეგზემპლარი წლიური ტირაჟით;

7 საოლქო გაზეთი 19.763 ათასი ეგზემპლარი წლიური ტირაჟით;

21 ძირეული გაზეთი 2.482 ათასი ეგზემპლარი წლიური ტირაჟით;

14 საკავშირო მრავალტირაჟიანი გაზეთი 214 ათასი ეგზემპლარი წლიური ტირაჟით.

ცხოვრების მხარდამჭერ

ლენინური ეპოქა, როცა საბჭოთა ხალხი შეუდგა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, ქუთაისის — ჩვენი რესპუბლიკის მეორე სამრეწველო ცენტრის — ჟურნალისტებს, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, მოეთხოვებათ ღრმად, შინაარსიანად და საქმის ცოდნით გააშუქონ სოციალისტური ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემები. შემოვიღეთ სპეციალური განყოფილება, „ეკონომიური ცოდნის უნივერსიტეტი“. ამ განყოფილებაში მოთავსებული წერილები ხელს უწყობენ ჩვენი კადრების გამდიდრებას ეკონომიური ცოდნით.

თეორიული სტატიები და კონსულტაციები, რომლებიც განმარტავენ და პროპაგანდას უწევენ ყრილობის გადაწყვეტილებებს, ორგანულად უკავშირდება ჩვენი ქალაქის ეკონომიკის კონკრეტულ ამოცანებს. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ღრმად, პრაქტიკასთან ცოცხალი კავშირით გაშუქებთ კომუნისტური შენებლობის პერიოდში ეკონომიური ურთიერთობის განვითარების, მატერიალური და მორალური სტიმულების სწორად შეხამების, ტექნიკური პროგრესისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ნორმირების და სხვა აქტუალურ საკითხებს.

ჩვენს რედაქციას განსაზღვრული აქვს შემოიღოს რუბრიკა: „პრობლემები, რომლებიც დაიყენა პარტიის XXIII ყრილობამ“.

ყრილობის გადაწყვეტილებათა ქმედითი პროპაგანდისათვის არ კმარა მარტო მისი დოკუმენტების შინაარსის გადმოცემა. სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება იმის თვალსაჩინო ჩვენებას, გულდასმით ანალიზს, თუ როგორ ხორციელდება ეს გადაწყვეტილებები, როგორ ეწყობა მუშაობა ახლებურად საწარმოებში და მშენებლობებზე.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი მიმართავდა პრესას მუშაკებს და მოითხოვდა: „რაც შეიძლება მეტი ეკონომიკა“. ეკონომია — ხაზგასმით აღნიშნავდა ვლადიმერ ილიას-ძე, —გვკირდება ახალი ცხოვრების ნამდვილი მშენებლობის ფაქტების შეგროვების, გულდასმით შემოწმების და შესწავლის თვალსაზრისით.

ახლებურად მუშაობის გამოცდილების გულმოდგინედ გაშუქება ჩვენი პრესის საშუალებით დიდად შეუწყობს ხელს ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, დაეხმარება თვითეულ კოლექტივს განსაზღვროს თავისი ადგილი ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის საერთო ბრძოლაში, გამოავლინოს და აამოქმედოს წარმოების რეზერვები.

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ გამოცდილებას, რომელიც ქუთაისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა შეიძინეს გასულ შვიდწლედში. გაზეთი არა მარტო მხარს უჭერს ამა თუ იმ თაოსნობას, არამედ კიდევაც ცდილობს გამოავლინოს წარმოების ზრდის ახალი რეზერვები. გაზეთს მოუხდება მეტი პრინციპულობით გაკრიტიკოს ფორმალიზმი, კაზიონურობა, საქმის მოჩვენებითი მხარით გატაცება, რასაც ჯერ კიდევ ვხედებით ზოგიერთ კოლექტივში.

დასამალავი როდია, რომ ჩვენს გაზეთებში ჯერ კიდევ ცოტა იბეჭდება ღრმა შინაარსიანი წერილები საწარმოებიდან. ხშირად ჩვენს კორესპონდენტებში კონკრეტული ანალიზი შეცვლილია გამარტივებული სქემით. საკმაოდ არ არის დამუშავებული საკვანძო თემები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმოს წარმოების ეფექტიანობის, რენტაბელობის და შრომის ნაყოფიერების ზრდის, კაპიტალური დაბანდებისა და ძირითადი საწარმოო ფონდების სარგებლიანობის გადიდებისათვის, მომჭირნეობის რეჟიმისათვის, ზედმეტობათა და უნაყოფო ხარჯების აღმოფხვრისათვის ბრძოლის საკითხებს.

გაზეთ „ქუთაისში“ სისტემატურად იბეჭდება აგრეთვე მასალები მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის საკითხებზე. ეცდილობთ ამ სქემაში ჩავაბათ ქალაქის ფართო საზოგადოებრიობა.

მომავალში ჩვენ უფრო მეტ დახმარებას გავუწევთ ქალაქის პარტიულ ორგანიზაციას ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდისათვის ბრძოლაში. გაზეთს ბევრი რამის გაკეთება შეუძლია ამისათვის, რომ ახალგაზრდას გამოუმუშავდეს სოზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი მოვლენის კლასობრივი შეცნობის უნარი, რომ იგი ფხიერი თვალით უყურებდეს ჩვენი საქმიანობის ყოველგვარ გამოვლინებას, დადებითი იქნება ეს თუ უარყოფითი, რომ მისი დამოკიდებულება უქნარობის, სიზარმაცის, ბიუროკრატიზმის, ხულიგნობის თუ დოყლაპაობის მიმართ იყოს შეურიგებელი და პრინციპული, რომ იგი ყოველ უარყოფითში ხედავდეს ჩვენი საერთო საქმის შემაფერხებელს.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა წყვეტს უდიდესი მნიშვნელობის სოციალურ ამოცანას — აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას — საჭიროა ჩვენი პრესა განსაკუთრებული, კიდევ უფრო მეტი აქტივობით ჩაება საერთო სახალხო საქმეში და მჭიდროდ დარაზმოს მშრომელები ცხოვრებით ნაკარნახევი საკითხების წარმატებით განხორციელებისათვის.

გ. მეფისაშვილი,
გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორი.

აი რა გვიჭირს

მაგონდება გასული წლის ივნისი. დიპლომის დაცვამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი. ჩემს წინაშე იდგა დამფიქრებელი კითხვა: სად წავიდე სამუშაოდ?

აგერ უკვე ათმა თვემ განვლო იმ დღიდან. ათი თვის წინათ დაიბადა გაზეთი „ბახტრიონი“. ეს დრო საკუთარი თავისა და შესაძლებლობათა შემოწმების ვადა იყო. და უნდა გამოვტყდე, დამწყები ჟურნალისტისთვის იმაზე უკეთესი გამოცდა არ არის, ვიდრე რაიონულ გაზეთში მუშაობა.

რედაქცია ახალგაზრდა ჟურნალისტებით დაკომპლექტდა.

აქ არაფერს ვიტყვი ჩვენი გაზეთის ავკარგზე. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ „ბახტრიონის“ ტირაჟი დღიდან გამოსვლისა 2.400 ცალიდან 4.660-მდე გაიზარდა...

ახლა მკვეთრად ამაღლდა მკითხველის გემოვნება. ისეთ საფეხურზე ავიდა საგაზეთო საქმე, რომ საჭიროა კვალიფიციურად დაწერილ წერილებთან ერთად ბრწყინავდეს გაზეთის გარეგნული სახეც.

მაინც რა გვიჭირს? საჭირო რაოდენობით არ გაგვაჩნია საგაზეთო და სასათაურო შრიფტი. დღემდე არ მოუციათ საჩარჩოე მასალა. რამდენიმე თვეა, რაც ლინოტიპებს გვპირდებიან, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება. მოუწესრიგებელია ქაღალდით მომარაგების საკმეც. ამ ათი დღის წინათ მოგვაწოდეს ქაღალდის ორი 550-კილოგრამანი შეკვრა, რომელსაც სპეციალური საჭრელი დაზგა სჭირდება, დაზგა კი არა გვაქვს. არ გაგვაჩნია აგრეთვე ხაზსაჭრელი, უამისოდ კი შეუძლებელია ხაზების ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირება, ჩარჩოს კუთხის შეკვრა.

რამდენიმე შენიშვნაც საქდესის მასალების გადმოცემის თაობაზე: როგორც წესი, გაზეთის გამოსვლის დღეს საქდესიდან მიღებულ მასალას ვერ ვბეჭდავთ, რადგან ხელით აწყობა დიდ დროს მოითხოვს. მომავალი ნომრისათვის მისი შენახვა კი მიზანშეწონილი არ არის. იქნებ 1-2 საათით ადრე მოეწყოს ეს გადაცემები?

„ბახტრიონის“ წინაშე დიდი ამოცანებია. სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა — აი საათკენ უნდა იყოს მიმართული ჩვენი შემდგომი მუშაობა. მთელი სიგრძე-სიგანით უნდა ვაჩვენოთ ხუთწლედის დავალებათა განხორციელების მიმდინარეობა. ამისათვის გაზეთს აქვს სისტემატური რუბრიკები „სკკპ XXIII ყრილობის დადგენილებანი მოქმედებაში“, „პარტიული ცხოვრება“, „ჩვენი დღეების გმირები“, „ხუთწლედის ადამიანები“, „მოწინავეთა ტრიბუნა“ და სხვ.

პრესის დღეს რომ აღვნიშნავთ, გკისრულობთ მომავალში უფრო ფართო ადგილი დავუთმოთ ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლას, საშკარაოზე გამოვიტანოთ ის ჩრდილოვანი მხარეებიც, რომლებიც აფერხებენ საერთო საქმის წინსვლას.

ე. ლებანიძე,
ახმეტის რაიონული გაზეთის „ბახტრიონის“ პასუხისმგებელი მდივანი.

აქ იბადება ქართული წიგნი

ჩვენ ვართ რესპუბლიკის ერთ-ერთ დიდ და მოწინავე პოლიგრაფიულ წარმოებაში — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარ-პოლიგრაფშრეწველობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში.

აქ, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე შენობაში, ახალი პოლიგრაფიული ტექნიკით აღჭურვილ საამქროებში უკვე კარგახანია იბადება ათასობით ქართული წიგნი.

— ჩვენი წარმოების პოლიგრაფიული სიმძლავრის წარმოსადგენად საკმარისია დავასახელოთ ზოგიერთი ციფრი, — ამბობს კომბინატის დირექტორი ც. ხაზარაძე. — გასულ წელს ჩვენმა კომბინატმა გამოსცა 260 დასახელების 4.267.500 ეგზემპლარი საერთო ტირაჟის წიგნისა და ჟურნალის პროდუქცია. ჩვენ ვუშვებთ პოლიტიკურ, მხატვრულ, დარგობრივ ლიტერატურას, სკოლის და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებს, ჟურნალებს და მაღალხარისხოვან ფერად ბეჭდვითს პროდუქციას.

ამჟამად კომბინატის კოლექტივი დიდ მუშაობას ეწევა ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის დადგენილებების განხორციელებისათვის, გულმოდგინედ იბრძვის პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, ნედლეულის ეკონომიის და წარმოების რენტაბელობისათვის.

კომბინატს ემსახურებიან მაღალკვალიფიციური ლინოტიპისტები, მკინძავები, მბეჭდავები, ფერადი ბეჭდვის ოსტატები.

ახლახან ჩვენი რესპუბლიკის სხვა მოწინავე ადამიანებთან ერთად საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ორდენებით და მედლებით დაჯილდოვა კომბინატის საუკეთესო მუშაკები — ლინოტიპისტი ი. კლარჯეიშვილი, მკინძავი — ა. ხარებავა, მბეჭდავი ნ. ზახარჩუკი და სხვები.

ვათვალიერებთ საოფსეტო საამქროს, სადაც იბეჭდება წიგნებისა და ჟურნალების ფერადი ილუსტრაციები.

— როგორც თქვენ იცით, — გვიამბობს კომბინატის დირექტორის მოადგილე გ. კაკუშაძე, — წელს დიდი შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს ვზეიმებთ. ამ თარიღისათვის კომბინატის წინაშე მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა დგას. ჩვენ უნდა გამოვუშვათ „ვეფხისტყაოსნის“ ოთხი სხვადასხვა ფორმატის საიუბილეო გამოცემა. მათ შორის არის როგორც დიდი აკადემიური, ისე მცირე ფორმატის წიგნები. აღსანიშნავია, რომ პირველად საქართველოში ჩვენი კომბინატი გამოუშვებს მინიატურულ ილუსტრირებულ „ვეფხისტყაოსანს“.

ამ საიუბილეო გამოცემის ილუსტრაციები შესრულებულია XVII საუკუნის მხატვარ მამუკა თავაქარაშვილის, აგრეთვე ლ. გუდიაშვილის და ს. ქობულაძის მიერ. წიგნი გამოვა 115.000 ეგზემპლარი საერთო ტირაჟით.

გაივლის კიდევ ცოტა ხანი და სხვა მრავალ ქართულ წიგნთან ერთად გამოვა „ვეფხისტყაოსნის“ მდიდრულად გაფორმებული საიუბილეო გამოცემა, შექმნილი ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ წამყვან პოლიგრაფიულ წარმოებაში — ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში.

სურათებზე: მარცხნივ — საოფსეტო საამქროს მხატვარი-რეტუშორი მ. ხუბაშვილი (მარჯვნივ) და ფოტოგრაფი კ. ზუბიაშვილი ამოწმებენ „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემის ილუსტრაციების ხარისხს; მარჯვნივ — ყდების დამამზადებელი უბნის მოწინავე მუშები კომკავშირელები (მარცხნიდან მარჯვნივ) მ. ბაიაძე, თ. ჩოთალიშვილი, ლ. გუშარაშვილი და დ. თიგიშვილი; ქვემოთ — სამკინძაო საამქროს წიგნების ყდაში ჩასმის უბანი. წინა პლანზეა წუნმდებელი ლ. შუბითიძე.

ს. კილაძე,
ფოტო ავტორისა.

მთავარი თემა

ყურილობა დამთავრდა, ცოტა სათქმელი როდი ითქვა, მაგრამ პრესაში ყოველდღიურად არის სჯა-ბაასი, საუბარი. საბჭოთა ადამიანებმა, როგორც ყოველთვის, პარტიის ბრძნული გადაწყვეტილებები ახლაც დროშასავით აიტაცეს და ნათელი მომავლის უტყუარი დოკუმენტები უწოდეს. უკვე დგამენ კარგ პრაქტიკულ ნაბიჯებს, რომ პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს მალე შეესახოს ხორცი.

და გაზეთების, ჩვენი პრესის მთავარი სადღეისო თემა ხომ სწორედ პარტიის მიზანდასახულებათა განუხრელად გატარებისათვის ბრძოლაა!

პარტიის გორის საქალაქო და რაიონული კომიტეტების, საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომების ორგანო გაზეთი „გამარჯვება“ თავის მუშაობას სწორედ ამ პოზიციებიდან წარმართავს. გაზეთმა თავისი მოღვაწეობის მთავარ პროგრამად დაისახა პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პროპაგანდა, ამ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მშრომელთა დარაზმვა.

მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვა და გავრცელება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. იგი აუცილებელია ახალი ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის. ამ მხრივ რედაქცია მრავალ სასარგებლო ფორმას იყენებს. აი ერთ-ერთი მათგანიც.

გაზეთმა „გამარჯვებამ“ ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო „გვერდი-პლაკატების“ გამოშვება, რამაც ფართო მკითხველის მოწონება და აღიარება ჰპოვა.

ზოგი ამბობს, გაზეთი ერთ დღეს ცოცხლობსო. რა თქმა უნდა, ეს სწორი არ არის, მაგრამ ამ გამოთქმას თავის საფუძველიც აქვს. მკითხველი ხომ ყოველდღიურად ახალ-ახალ ნომერს მოელის! ჩვენი წამოწყება რომ უფრო დიგრძელი ყოფილიყო, რედაქციამ გადაწყვიტა გაზეთის ცალკეულ ნომრებში მოთავსებული „გვერდი-პლაკატები“ ცალკე, უფრო სქელ და გამძლე ფურცლებზე ამოებეჭდა და საჭიროო რაოდენობით მიეცა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის, ქარხნებისა და საწარმო-დაწესებულებებისათვის. ახლა ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებში, კლუბებსა და დაწესებულებათა წითელ კუთხეებში, აგრეთვე ხალხის სხვა საკრებულო ადგილებში ხშირად ნახავთ გაზეთ „გამარჯვების“ „გვერდ-პლაკატებს“, რომლებიც მოწინავეთა მაგალითით ადამიანებს ნაყოფიერი შრომისაკენ მოუწოდებენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში, რომლებიც მიღებულია ამ უკანასკნელ წლებში საბჭოთა პრესის მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე, ნათქვამია, რომ მოწინავე გამოცდილება მარტო ერთეულების საკუთრება როდი უნდა იყოს, იგი ხალხის ფართო მასების კუთვნილება უნდა გავხადოთ. ამ საქმეში დიდია გაზეთების, მათ შორის რაიონული გაზეთის როლი. ამასთან პარტია გვასწავლის, რომ მკითხველს უნდა ვაცნობოთ არა მარტო კრიტიკული მასალის ბედი, არამედ მან აგრეთვე უნდა შეიტყოს, თუ რა ბედი ეწია ამა თუ იმ წამოწყებას, ამა თუ იმ ნოვატორის გამოცდილებას, პრესაში გამოქვეყნებულ წინადადებას, რა გამოხმაურება ჰპოვა მან ხალხში, მასებში, რა ღონისძიებები ხორციელდება უკვე გამოქვეყნებული გამოცდილების ხალხის კუთვნილებად გადაქცევისათვის.

ამის რომ ითვალისწინებს, გაზეთი „გამარჯვება“ სისტემატურად ბეჭდავს თავის ფურცლებზე წერილებს იმის შესახებ, თუ როგორ ინერგება ადგილებზე მოწინავეთა გამოცდილება. ამ საკითხებს კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა მომავალში.

ხალხთა ლენინური მეგობრობა ჩვენს სოციალისტური სამშობლოს უდიდესი მონაპოვარია — აღნიშნული იყო სკკპ XXIII ყრილობაზე. ჩვენი გაზეთიც, ისევე როგორც მთელი საბჭოთა პრესის წინაშე დგას ამოცანა — ყოველდღიურად გავუფრთხილდეთ ამ მონაპოვარს, უფრო განვამტკიცოთ და გავაფართოოთ იგი.

გაზეთი „გამარჯვება“ თავის ფურცლებზე სისტემატურად აშუქებს ხალხთა შორის მეგობრობის ამსახველ მასალებს. დაიბეჭდა უკრაინის სსრ ციტადელის ოლქის ნოვოგრად-ვოლინსკის გაზეთ „ბუდივნიკ კომუნიზმის“, სომხეთის სსრ ციროვაკანის რაიონულ გაზეთ „შირაქის“, ლიტვის სსრ ქალაქ პანევეჟისის გაზეთ „პანევეჟეიო ტიესას“ და სხვა გაზეთების გამცვლელი გვერდები.

უკრაინელი, სომეხი და ლიტველ მშრომელების საქმიანობის შესახებ ჩვენი გაზეთის საშუალებით შეიტყეს ქართველმა მკითხველებმა, ხოლო ქალაქ გორისა და გორის რაიონის მშრომელების შესახებ ჩვენს მიერ მომზადებული წერილებით ესაუბრნენ თავიანთ მკითხველებს ზემოაღნიშნული გაზეთები. გადაწყვეტილი გვაქვს, მომმე რესპუბლიკის გაზეთების რედაქციებთან ურთიერთობა შემდგომშიც გავაფართოოთ.

სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის ახალი გადადებული ვალდებულებები იკისრეს ქ. გორისა და გორის რაიონის მშრომელებმა. გაზეთი „გამარჯვება“ მზარში უდგას მთ, როგორც მათი ყოველდღიური მრჩეველი და მეგობარი. გაზეთში გამოჩნდა ახალი სათაურები, რუბრიკები. გამოქვეყნდა სპეციალური გვერდები და განყოფილებანი.

გაზეთი „გამარჯვება“, მისი ახალგაზრდული კოლექტივი ერთი წუთითაც არ შეანელებს ყურადღებას სადღეისო, № 1 თემის მიმართ, უფრო აქტიურად დარაზმავს ქალაქისა და სოფლის ათასობით მშრომელს, რომ მათ ღირსეული წვლილი შეიტანონ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებების, ახალი ხუთწლედის გეგმების წარმატებით განხორციელებაში.

შ. მახარობლიძე.
გაზეთ „გამარჯვების“ რედაქტორი.

მიეძღვნა პრესის დღეს

4 მაისს თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში გაიმართა საბჭოთა პრესის დღისადმი მიძღვნილი საღამო.

დარბაზში შეიკრიბნენ სამხედრო გაზეთების შუშაკები და თბილისის გარნიზონის სამხედრო კორესპონდენტთა აქტივი, რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების წარმომადგენლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

საღამო გახსნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილემ პოლკოვნიკმა ი. დრონოვმა.

საღამოზე მოხსენება საბჭოთა პრესის დღის შესახებ გააკეთა გაზეთ „ლენინელი ზნამიას“ რედაქტორმა პოლკოვნიკმა მ. გოლოვასტიკოვმა.

დასასრულ საღამოს მონაწილეთათვის გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

ქომუნისტი

მე-2 გვერდი, ხუთშაბათი, 5 მაისი, 1966 წ.

გაზეთი და შრომის გმირი

ეს იყო ამ ექვსიოდე წლის წინათ, 1960 წლის მაისში. თბილისის ელმავალსაშენებლო ქარხანაში რესპუბლიკური გაზეთის წარმომადგენელი მივიდა. მან ჯერ დირექტორი და მთავარი ინჟინერი მოინახულა, საწარმოს ახალი ამბები გამოჰკითხა.

— როგორ ხართ, როგორ ცხოვრობთ, როგორ მუშაობთ? — შინაურულად მოიკითხა საწარმოს ხელმძღვანელები. იგი აქ ხშირი სტუმარი იყო და კარგად იცნობდა ყველას, — რა სიახლეა თქვენთან ისეთი, გაზეთში დასაწერად რომ ღირდეს?

— ისეთი არაფერი. კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შევასრულეთ. ელექტროენერგიისა და მასალების ეკონომია გვაქვს, — უთხრეს.

— ეს ხომ ვიცი. აკი ამაზე გამოვაქვეყნეთ ინფორმაცია დღეგანდელ ნომერში. არ გინახავთ?.. თქვენ ეს მითხარით, ახალი თუ რაიმე წამოიწყეთ, ახალი სახელები თუ გამოჩნდა მოწინავეთა დაფაზე?

ქარხნის მთავარი ინჟინერი კარგად იცნობდა გაზეთის მუშაკს და იცოდა, რა ხასიათის სიახლენი აინტერესებდა.

— გვაქვს ზოგი რამ, მაგრამ ცოტა ხანს უნდა დავიცადოთ.

— რა დაცდა უნდა, თუ რამე საინტერესოა, ავდგეთ და გამოვაქვეყნოთ გაზეთში. გაიგოს ქვეყანამ, მაგალითი გადაიღოს.

— არა, ასე არ არის საქმე, ჯერ ადრეა, დაცდა სჯობს.

— მაინც რა არის ისეთი, არ მეტყვით? — ახლა უფრო დაინტერესდა გაზეთის მუშაკი.

— გეტყვით, ოღონდ ჩვენს შორის დარჩეს, — თქვა მთავარმა ინჟინერმა, — ჯერჯერობით ნუ გაახმიანებთ ამ ამბავს... ვასილ პაპანაშვილს ხომ იცნობთ, ამწყობთა ბრიგადის ბრიგადირია. ამას წინათ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება გვქონდა. ახალი სოციალისტური ვალდებულებები უნდა მიგვეღო. ადგა პაპანაშვილი და თქვა: ჩვენი ბრიგადა დღეიდან სახელმწიფო მიუჯეტიდან ხელფასის მიღებაზე უარს აცხადებს, უხელფასოდ ვიმუშავებთო. ეს როგორაო, გაუკვირდა ყველას. როგორაო და, ბრიგადაში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, დავზოგავთ ნედლეულსა და მ

საოლქო წინასაარჩევნო თათბირები

გეგეჭკორი. გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გეგეჭკორის საარჩევნო ოლქის შრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირი.

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს გეგეჭკორის № 172 საარჩევნო ოლქში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და დაწესებულებების მშრომელთა წინასაარჩევნო კრებების გადაწყვეტილებანი, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **შოთა ბარათონის-ძე ჭანუყვაძე.**

თათბირის მონაწილეებმა სთხოვეს ა. ი. ჭანუყვაძეს დეპუტატად კენჭი იყაროს გეგეჭკორის № 172 საარჩევნო ოლქში.

გორჯომი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების ჯორჯომის № 681 საარჩევნო ოლქის მშრომელთა, საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირმა ერთსულოვნად მოიწონა მშრომელთა წინასაარჩევნო კრებების გადაწყვეტილება, რომ დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, მეჯის გენერალი **ანდრია ტროფიმეს-ძე ტუჩენკო.**

თათბირის მონაწილეებმა სთხოვეს ტ. სტუჩენკოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატად კენჭი იყაროს ბორჯომის № 681 საარჩევნო ოლქში.

თბილისი. გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თბილისის პირველი მაისის № 676 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირი.

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქში შემავალი საწარმოებისა და დაწესებულებების წინასაარჩევნო კრებების გადაწყვეტილებანი, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ალექსანდრე ნიკოლოზის ძე შელეპინი** და ქუთაისის № 4 საბავშვო ფაბრიკის მკერავი **იზოლდა ეონას ასული რობაქიძე.**

თათბირის მონაწილეებმა სთხოვეს ა. ნ. შელეპინსა და ი. ი. რობაქიძეს დეპუტატებად კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში.

თბილისი. გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის 26 კომისრის სახელობის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო წინასაარჩევნო თათბირი.

